ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**№114. 1142421410**
თარიღი:**01/08/2024**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **საჯარო დაწესებულებაში სტაჟირება ცხადდება წელიწადში ერთხელ მაინც.**

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების შესაბამისად, **სტაჟიორის კონკურსი ცხადდება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე. საჯარო დაწესებულება სტაჟიორის შესარჩევ კონკურსს აცხადებს სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.**

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების 2^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 2024 წლის 2 აგვისტოდან საჯარო დაწესებულებებში უნდა გამოცხადდეს ანაზღაურებადი 4-თვიანი სტაჟირების კონკურსი.**

ამდენად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოს ორგანული „ადგილობრივი თვითმმართველობი კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ IX^1 თავის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე, 53-ე მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი1.

1. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების 2^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების შესაბამისად, **ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში კერძოდ:**
   - **ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურში - 3 ვაკანსია**
   - **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში -1 ვაკანსია**
   - **არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში - 1 ვაკანსია**
   - **შიდა აუდიტის სამსახურის -1 ვაკანსია**
   - **განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახური - 3 ვაკანსია**
   - **ინფრასტრუქტურის სამსახური - 2 ვაკანსია**
   - **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური - 2 ვაკანსია**
   - **ადმინისტრაციული სამსახური - 3 ვაკანსია**
   - **ზედამხედველობის სამსახური - 2 ვაკანსია.**
2. ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ www.gov.ge-ის ვებგვერდზე ინტეგრირებულია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცხადებული სტაჟირების პროგრამის ველი, საიდანაც სტაჟირების მსურველი ავტომატურად გადავა www.hr.gov.ge-ის ვებგვერდზე, სადაც სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 2024 წლის 2 აგვისტოდან – 8 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში სტაჟირების მსურველებს მიეცეთ განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა.
3. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-4 შესაბამისად, სტაჟირების მსურველი პირის შეფასება განახორციელოს კომისიამ (**სტაჟირების მსურველი პირის შეფასებაზე უფლებამოსილ კომისია)** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - გელა გოგიტიძე (კომისიის თავმჯდომარე);**

ბ) **ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ირმა ჯინჭარაძე (კომისიის წევრი);**

გ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული იურიდიული განყოფილების უფროსი - თეონა გეგიძე (კომისიის წევრი).

დ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი - ნათია ბასიაშვილი (კომისიის წევრი)

ე) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსი - ნათია ნიჟარაძე (კომისიის წევრი)

ვ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ხათუნა მამასახლისი (კომისიის წევრი)

ზ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი - ზურაბ ამაღლობელი (კომისიის წევრი)

თ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - დავით ბოლქვაძე (კომისიის წევრი)

ი) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის

უფროსი - მალხაზ რომანაძე (კომისიის წევრი)
კ) ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - გიორგი ბეჟანიძე (კომისიის წევრი)
ლ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -ფატი ჯინჭარაძე (კომისიის წევრი)

4. **სტაჟირების მსურველი პირის შეფასებაზე უფლებამოსილ კომისიამ გადაწყვეტილება მიიღოს** „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებისა და მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. **საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული გამოავლინოს გასაუბრების საფუძველზე, კენჭისყრით და დასაბუთებული გადაწყვეტილებით.**
5. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის შესაბამისად:
   ა) სტაჟიორის კონკურსის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატის სტაჟიორად შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, აღნიშნული ბრძანებით შექმნილმა კომისიამ (შეფასებაზე უფლებამოსილი კომისია).
   ბ) შეფასებაზე უფლებამოსილი კომისიამ, წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს შერჩეული კანდიდატი.
   გ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ სტაჟიორის კონკურსის შედეგები ასახოს სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს **(შემდგომში-ბიურო)** მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის შესაბამის მოდულში, მისი დასრულებიდან (შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთი კვირის განმავლობაში.
6. **სტაჟირებასთან დაკავშირებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია** „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლით.
7. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის „ბ“ქვეპუნქტის შესაბამისად, **სტაჟიორის მენტორად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი/ მოვალეობის შემსრულებელი.** მენტორმა სტაჟიორს ხელი შეუწყოს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
8. **სტაჟიორის მენტორის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია** „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-20 მუხლის შესაბამისად.**
9. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდგომ გაიცეს ცნობა პირის მიერ სტაჟირების გავლის თაობაზე.**

10. აღნიშნული ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამისმა საჯარო მოსამსახურეებმა გაატარონ მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებები.
11. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ქობულეთის

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროს გელა გოგიტიძეს.

მუხლი 2.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი